

შპს ფერი და შვილობილი კომპანიები

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური
და მმართველობის ანგარიშგება**

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------	---

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მომზადების საფუძვლები	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	12
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	13
5. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება	18
6. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	19
7. პირდაპირი ხარჯები	20
8. სხვა შემოსავლები	20
9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	21
10. გაუფასურების (ხარჯი)/ამობრუნება	21
11. სხვა ხარჯები	21
12. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	22
13. ძირიდათი საშუალებები	23
14. აქტივის გამოყენების უფლება	24
15. არამატერიალური აქტივები	24
16. ინვესტიციები	25
17. გაცემული სესხები	26
18. მარაგები	27
19. გაცემული ავანსები	28
20. სავაჭრო მოთხოვნები	28
21. ფული ფა ფულის ექვივალენტები	28
22. მიღებული სესხები	29
23. საიჯარო ვალდებულებები	30
24. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	30
25. ოპერაციაში დაკავშირებულ მხარეებთან	31
26. პირობითი ვალდებულებები	31
27. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	32
28. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	32

მმართველობის ანგარიშგება

მმართველობის ანგარიშგება	42
--------------------------	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ფერის მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიქირავეს აუდიტის ჩასატარებლად *შპს ფერის* (შემდეგში „კომპანია“) და *მისი შვილობილი კომპანიების* (შემდეგში ერთობლივად მოხსენიებული, როგორც „ჯგუფი“) ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას კომპანიისა და ჯგუფის თანდართულ ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი დასკვნის ნაწილში - „*მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი*“ აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

2023, 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას/ჯგუფს არ ჩაუტარებია მარაგების ინვენტარიზაცია. შესაბამისად, ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა დავსწრებოდით მარაგების ინვენტარიზაციის პროცესს საანგარიშგებო წლის დასაწყისში და წლის ბოლოს. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით, მიგვეღო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მარაგების არსებობასა და მდგომარეობასთან დაკავშირებით შესაბამისი ღირებულებით 21,846 ათასი და 20,651 ათასი ლარი, აგრეთვე 2023 წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი: რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებასთან მიმართებაში შესაბამისი ღირებულებით 42,898 ათასი და 42,898 ათასი ლარი, საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებთან მიმართებაში შესაბამისი ღირებულებით 2,495 ათასი და 2,481 ათასი ლარი, სხვა ხარჯებთან მიმართებაში ღირებულებით შესაბამისად 187 და 110 ათასი ლარი. 2022 წლის 31 დეკემბრისთვის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მარაგების არსებობასა და მდგომარეობასთან დაკავშირებით შესაბამისი ღირებულებით 45,188 ათასი და 44,382 ათასი ლარი, აგრეთვე 2022 წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი: რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებასთან მიმართებაში ღირებულებით შესაბამისად 23,545 ათასი და 23,545 ათასი ლარი, საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებთან მიმართებაში ღირებულებით შესაბამისად 2,488 და 2,440 ათასი ლარი. 2021 წლის 31 დეკემბრისთვის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მარაგების არსებობასა და მდგომარეობასთან დაკავშირებით შესაბამისი ღირებულებით 17,733 ათასი და 17,283 ათასი ლარი. ზემოაღნიშნულის გამო ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ თუ აღურიცხვ მარაგებში, ასევე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის, ვინაიდან მარაგების ნაშთი მონაწილეობს ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსაზღვრაში.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას/ჯგუფს არ ჩაუტარებია ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით, მიგვეღო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ძირითადი საშუალებების არსებობასა და მდგომარეობასთან დაკავშირებით შესაბამისი ღირებულებით 39,780 ათასი ლარი და 31,838 ათასი ლარი, ვინაიდან ძირითადი საშუალებები მონაწილეობს 2022 წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსაზღვრაში, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იქნებოდა თუ არა 2022 წლის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი წლის მოგებისა და კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ნაჩვენები შესაბამისი ელემენტების კორექტირება.

2023 წელს შპს ფერმა მოახდინა შვილობილის, შპს ხადორი 2 ჰესის კაპიტალში მოძრავი და უძრავი ქონების შეტანა ღირებულებით 6,758 ათასი ლარი და ამავე წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში აჩვენა მოგება შვილობილ კომპანიაში შეტანილი ქონების სამართლიანი ღირებულებით შეფასებიდან 2,320 ათასი ლარი. ჩვენ ვერ შევძელით აღნიშნული ინვესტიციის სამართლიანი ღირებულის ისეთი შეფასების დოკუმენტაციის მოპოვება, რომელიც მომზადებული იქნებოდა რელავანტური შეფასების სტანდარტების მიხედვით. ჩვენ ვერც ალტერნატიული მეთოდებით მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება აღნიშნულ ოპერაციაზე. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ აღნიშნულ ინვესტიციასთან მიმართებაში, აგრეთვე ფულადი ნაკადების, კაპიტალის ცვლილებების და ასევე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგებების ელემენტებში 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

2023 წელს, მიუხედავად გაუფასურების ინდიკატორების არსებობისა, კომპანიას არ ჩაუტარებია გაუფასურების ტესტი, როგორც ეს მოითხოვება ბასს-36-ით, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ძირითად საშუალებასთან მიმართებაში შესაბამისი ღირებულებით 23,175 ათასი და 18,310 ათასი ლარი. ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების განხორციელება ძირითადი საშუალებების გაუფასურებასთან დაკავშირებით და აგრეთვე იმ დაკავშირებულ ელემენტებთან მიმართებაში, რომელიც იღებენ მონაწილეობას 2023 წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ფორმირებაში.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ დასტურის წერილები მესამე მხარისგან და ვერც ალტერნატიული აუდიტორული პროცედურების ჩატარებით შევძელით მიგვეღო შესაფერისი და საკმარისი აუდიტორული მტკიცებულებები 2023, 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ გადახდილ ავანსებზე, რომელიც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია შესაბამისად 7,065 ათასი, 2,233 ათასი, 17,075 ათასი ლარით და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია შესაბამისად 2,640 ათასი, 1,454 ათასი, 16,774 ათასი ლარით. შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების განხორციელება ამ თანხებთან და იმ დაკავშირებულ მუხლებთან დაკავშირებით, რომლებიც მონაწილეობას იღებენ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ფორმირებაში.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ დასტურის წერილები მესამე მხარისგან და ვერც ალტერნატიული აუდიტორული პროცედურების ჩატარებით შევძელით მიგვეღო შესაფერისი და საკმარისი მტკიცებულებები 2023, 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილ გრძელვადიან და მოკლევადიან სავაჭრო ვალდებულებებზე, რომელიც წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისად 7,744 ათასი, 7,932 ათასი და 5,643 ათასი ლარით, ხოლო ინდივიდუალურ ანგარიშგებაში შესაბამისად 7,371 ათასი, 7,510 ათასი და 4,376 ათასი ლარით. შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების განხორციელება ამ თანხებთან და იმ დაკავშირებულ მუხლებთან დაკავშირებით, რომლებიც მონაწილეობას იღებენ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ფორმირებაში.

მნიშვნელოვანი გარემოება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის კომპანიის/ჯგუფის ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში ჩვენ ასევე ჩავატარეთ მე-5 შენიშვნაში წარმოდგენილი შესწორებების აუდიტიც, რომელიც ეხება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის კომპანიის ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას. ჩვენი აზრით, მსგავსი შესწორებები მიზანშეწონილი და სწორია. შესაძარის ინფორმაციაზე ჩატარებული აუდიტორული პროცედურები შემოიფარგლება მხოლოდ აღნიშნული შესწორებებით. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

აგრეთვე, ყურადღებას ვამახვილებთ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების 22-ე განმარტებით შენიშვნაზე, რომელიც აღწერს, რომ ჯგუფს/კომპანიას მიღებულ სესხებზე გააჩნია ფინანსური და არაფინანსური შეზღუდვები, რომელთა გარკვეული ნაწილი ვერ შეასრულა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია კომპანიის/ჯგუფის მმართველობის ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ჯგუფის/კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია გულისხმობს ჯგუფის/კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, გარდა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. ჯგუფის/კომპანიის ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას.

ჯგუფის/კომპანიის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია

არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან და სათანადო მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ შეიცავს არსებით უზუსტობას აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებული ცოდნიდან გამომდინარე.

თუ, სხვა ინფორმაციასთან მიმართებით ჩატარებული სამუშაოების ფარგლებში აღმოვაჩენთ, რომ მმართველობის ანგარიშგება არსებითად მცდარია, ჩვენ მოგვეთხოვება ამ ფაქტის გაცხადება. ამ კუთხით ჩვენ არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

როგორც აღწერილია ზემოთ - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ ნაწილში, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება ჯგუფის/კომპანიის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ელემენტებში 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის. შესაბამისად, ვერ შევძელით დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას აღნიშნულ საკითხებთან მიმართებით.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის/კომპანიის ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის/ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, რომ ასე არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის/კომპანიის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ კომპანიის/ჯგუფის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორული დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან/ჯგუფისგან *ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების* საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, კომპანიისა და ჯგუფის 2023 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით

- შეესაბამება 2023 წლის 31 დეკემბრისათვის დასრულებული წლის კომპანიისა და ჯგუფის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალური ფინანსურ ანგარიშგებას;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

29 ნოემბერი 2024

თბილისი, საქართველო

არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან და სათანადო მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ შეიცავს არსებით უზუსტობას აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებული ცოდნიდან გამომდინარე.

თუ, სხვა ინფორმაციასთან მიმართებით ჩატარებული სამუშაოების ფარგლებში აღმოვაჩინეთ, რომ მმართველობის ანგარიშგება არსებითად მცდარია, ჩვენ მოგვეთხოვება ამ ფაქტის გაცხადება. ამ კუთხით ჩვენ არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

როგორც აღწერილია ზემოთ - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის“ ნაწილში, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება ჯგუფის/კომპანიის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ელემენტებში 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის. შესაბამისად, ვერ შევძელით დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას აღნიშნულ საკითხებთან მიმართებით.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის/კომპანიის ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის/ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, რომ ასე არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის/კომპანიის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ კომპანიის/ჯგუფის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორული დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან/ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, კომპანიისა და ჯგუფის 2023 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით

- შეესაბამება 2023 წლის 31 დეკემბრისათვის დასრულებული წლის კომპანიისა და ჯგუფის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალური ფინანსურ ანგარიშგებას;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

29 ნოემბერი 2024

თბილისი, საქართველო



შპს ფერი და შვილობილი კომპანიები

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

	შენიშვნა	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
		2023	2022*	2023	2022*
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	6	106,099	95,533	103,837	95,533
პირდაპირი ხარჯები	7	(77,354)	(60,006)	(76,905)	(60,006)
საერთო მოგება		28,745	35,527	26,932	35,527
სხვა შემოსავალი	8	1,522	2,605	1,060	1,981
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(8,725)	(9,338)	(6,144)	(7,256)
გაუფასურების (ხარჯი)/ამობრუნება	10	111	1,456	111	1,456
სხვა ხარჯები	11	(4,126)	(6,408)	(2,373)	(4,684)
საოპერაციო მოგება		17,527	23,842	19,586	27,024
ფინანსური შემოსავლები		1,040	1,184	1,066	1,203
ასოცირებული და ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოების მოგების წილი	16	4,375	14,162	4,375	14,162
შვილობილი კომპანიისგან მიღებული დივიდენდი	16	-	-	1,610	-
ფინანსური ხარჯი		(3,799)	(3,743)	(3,679)	(3,658)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	12	(1,706)	175	(1,420)	175
მოგება შვილობილ კომპანიაში შეტანილი ქონების რეალური ღირებულებით შეფასებიდან		-	-	2,320	-
საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალი, წმინდა		(1,129)	(4,502)	(1,031)	(4,392)
მოგება დაბეგვრამდე		16,308	31,118	22,827	34,514
მოგების გადასახადი		(1,656)	(3,148)	(1,656)	(3,148)
წლის წმინდა მოგება		14,652	27,970	21,171	31,366
სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		14,652	27,970	21,171	31,366

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 29 ნოემბერს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

იოსებ მჭედლიშვილი

ფინანსური დირექტორი

კახაბერ შევარდნაძე

* ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირებების შედეგად.

10 – 41 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ფერი და შვილობილი კომპანიები
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(^{000 ლარში})

	შენიშვნა	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
		2023	2022*	2023	2022*
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	6	106,099	95,533	103,837	95,533
პირდაპირი ხარჯები	7	(77,354)	(60,006)	(76,905)	(60,006)
საერთო მოგება		28,745	35,527	26,932	35,527
სხვა შემოსავალი	8	1,522	2,605	1,060	1,981
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(8,725)	(9,338)	(6,144)	(7,256)
გაუფასურების (ხარჯი)/ამობრუნება	10	111	1,456	111	1,456
სხვა ხარჯები	11	(4,126)	(6,408)	(2,373)	(4,684)
საოპერაციო მოგება		17,527	23,842	19,586	27,024
ფინანსური შემოსავლები		1,040	1,184	1,066	1,203
ასოცირებული და ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოების მოგების წილი	16	4,375	14,162	4,375	14,162
შვილობილი კომპანიისგან მიღებული დივიდენდი	16	-	-	1,610	-
ფინანსური ხარჯი		(3,799)	(3,743)	(3,679)	(3,658)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა მოგება შვილობილ კომპანიაში შეტანილი ქონების რეალური ღირებულებით შეფასებიდან	12	(1,706)	175	(1,420)	175
საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალი, წმინდა		(1,129)	(4,502)	(1,031)	(4,392)
მოგება დაბეგვრამდე		16,308	31,118	22,827	34,514
მოგების გადასახადი		(1,656)	(3,148)	(1,656)	(3,148)
წლის წმინდა მოგება		14,652	27,970	21,171	31,366
სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		14,652	27,970	21,171	31,366

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 29 ნოემბერს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი



იოსებ მჭედლიშვილი

ფინანსური დირექტორი



კახაბერ შევარდნაძე

* ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირებების შედეგად.

10 – 41 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ფერი და შვილობილი კომპანიები
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(‘000 ლარში)

		კონსოლიდირებული			ინდივიდუალური		
	შენიშვნა	2023	2022*	2021	2023	2022*	2021
აქტივები							
გრძელვადიანი აქტივების							
ძირითადი საშუალებები	13	41,508	40,935	39,780	23,856	29,639	31,838
არამატერიალური აქტივები	15	52,260	52,292	52,506	-	-	179
ინვესტიციები	16	52,438	43,664	28,458	137,233	110,878	89,614
გაცემული სესხები	17	19,222	18,300	15,194	19,573	18,599	15,194
აქტივის გამოყენების უფლება	14	21	1,539	1,503	21	1,539	1,499
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20	-	-	3,955	-	-	3,955
		165,449	156,730	141,396	180,683	160,655	142,279
მოკლევადიანი აქტივები							
მარაგები	18	21,846	45,188	17,733	20,651	44,382	17,283
გაცემული სესხები	17	-	-	5,300	-	-	5,300
გაცემული ავანსები	19	7,065	2,233	17,075	2,640	1,454	16,774
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20	16,307	11,600	9,275	16,282	11,650	8,791
სახელშეკრულებო აქტივი	6	387	387	387	387	387	387
წინასწარ გადახდილი გადასახადები		3,176	5,733	3,150	2,449	5,285	2,743
ფული და ფულის ეკვივალენტები	21	2,980	26,082	32,234	2,626	25,639	30,939
		51,761	91,223	85,154	45,035	88,797	82,217
სულ აქტივები		217,210	247,953	226,550	225,718	249,452	224,496
კაპიტალი და ვალდებულებები							
კაპიტალი							
საწესდებო კაპიტალი		2	2	2	2	2	2
გაუნაწილებელი მოგება		150,254	144,609	135,271	160,913	148,749	136,017
		150,256	144,611	135,273	160,915	148,751	136,019
გრძელვადიანი ვალდებულებები							
მიღებული სესხები	22	17,804	20,724	23,974	16,585	19,007	23,974
საიჯარო ვალდებულებები	23	-	981	659	-	981	659
სავაჭრო ვალდებულებები	24	156	652	697	156	652	697
		17,960	22,357	25,330	16,741	20,640	25,330
მოკლევადიანი ვალდებულებები							
მიღებული სესხები	22	18,036	2,602	21,684	17,477	2,098	20,159
საიჯარო ვალდებულებები	23	27	290	823	27	290	815
სახელშეკრულებო ვალდებულებები	6	20,661	67,739	36,680	20,661	67,741	36,680
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24	10,270	10,354	6,760	9,897	9,932	5,493
		48,994	80,985	65,947	48,062	80,061	63,147
სულ ვალდებულებები		66,954	103,342	91,277	64,803	100,701	88,477
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		217,210	247,953	226,550	225,718	249,452	224,496

* ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირებების შედეგად.

10 – 41 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ფერი და შვილობილი კომპანიები
კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(000 ლარში)

კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება:

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება*	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 31 იანვრისთვის	2	135,271	135,273
განაწილება მფლობელებისთვის გამოცხადებული დივიდენდები	-	(18,632)	(18,632)
მთლიანი სრული შემოსავალი	-	27,970	27,970
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2	144,609	144,611
განაწილება მფლობელებისთვის გამოცხადებული დივიდენდები	-	(9,007)	(9,007)
მთლიანი სრული შემოსავალი	-	14,652	14,652
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2	150,254	150,256

კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება:

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება*	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 31 იანვრისთვის	2	136,017	136,019
განაწილება მფლობელებისთვის გამოცხადებული დივიდენდები	-	(18,634)	(18,634)
მთლიანი სრული შემოსავალი	-	31,366	31,366
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2	148,749	148,751
განაწილება მფლობელებისთვის გამოცხადებული დივიდენდები	-	(9,007)	(9,007)
მთლიანი სრული შემოსავალი	-	21,171	21,171
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2	160,913	160,915

* ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირებების შედეგად.

10 – 41 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ფერი და შვილობილი კომპანიები

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

		კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	შენიშვნა	2023	2022*	2023	2022*
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:					
მოგება დაბეგვრამდე		16,308	31,118	22,827	34,514
შესწორებები შემდეგი მუხლებისთვის:					
ცვეთა და ამორტიზაცია		5,370	5,223	4,463	4,616
საპროცენტო ხარჯი, წმინდა		2,712	2,559	2,567	2,455
საექვო ვალების რეზერვის ცვლილება		(111)	(1,456)	(111)	(1,456)
ასოცირებული და ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოების მოგების წილი	16	(4,375)	(14,162)	(4,375)	(14,162)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული (მოგება)/ზარალი		(853)	81	(891)	81
შვილობილი კომპანიის საწესდებო კაპიტალში შეტანილი ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი		-	-	(2,320)	-
წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან		1,129	4,502	1,031	4,392
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე					
მარაგების (ზრდა)/შემცირება		23,342	(27,455)	23,731	(27,099)
სავაჭრო მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება		(4,467)	1,499	(4,375)	966
გაცემული ავანსების (ზრდა)/შემცირება		(4,832)	14,842	(1,186)	15,320
სავაჭრო ვალდებულებები ზრდა/(შემცირება)		(715)	1,700	(666)	2,626
საიჯარო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		(600)	64	(600)	67
სახელშეკრულებო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		(47,078)	31,061	(47,080)	31,059
სხვა საგადასახადო აქტივის (ზრდა)/შემცირება		2,557	(2,583)	2,836	(2,542)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული/(გასული) ფულადი სახსრები დაბეგვრამდე და პროცენტებამდე					
გადახდილი მოგების გადასახადი		(1,656)	(3,148)	(1,656)	(3,148)
გადახდილი ბანკის საგარანტიო		(1,147)	(1,539)	(1,147)	(1,514)
გადახდილი სესხის პროცენტი	17	(2,624)	(2,095)	(2,503)	(2,030)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული/(გასული) წმინდა ფულადი სახსრები					
		(17,040)	40,211	(9,455)	44,145
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:					
ძირითადი საშუალებების შეძენა	13	(6,346)	(6,066)	(3,507)	(2,143)
არამატერიალური აქტივები შეძენა		1,442	-	1,434	-
ინვესტიციების ზრდა ასოცირებულ და ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში	16	(4,399)	(1,043)	(15,222)	(7,101)
აქტივის გამოყენების უფლების (ზრდა)/შემცირება		1,364	(215)	1,364	(215)
გაცემული სესხების (ზრდა)/შემცირება		15	449	(11)	149
საინვესტიციო საქმიანობიდან გასული წმინდა ფულადი სახსრები					
		(7,924)	(6,875)	(15,942)	(9,310)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან					
აღებული სესხები	22	22,200	1,118	22,200	73
გადახდილი სესხები	22	(9,884)	(20,248)	(9,440)	(19,942)
გადახდილი დივიდენდები		(9,007)	(18,632)	(9,007)	(18,634)
გადახდილი საიჯარო ვალდებულებები	23	(464)	(464)	(464)	(454)
საფინანსო საქმიანობიდან შემოსული / (გასული) წმინდა ფულადი სახსრები					
		2,845	(38,226)	3,289	(38,957)
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა/(შემცირება) წლის განმავლობაში					
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	21	26,082	32,234	25,639	30,939
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე		(983)	(1,262)	(905)	(1,178)
ფულადი სახსრები წლის ბოლოს					
	21	2,980	26,082	2,626	25,639

* ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირებების შედეგად.

10 – 41 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ფერი და შვილობილი კომპანიები
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ('000 ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ფერი (შემდეგში კომპანია) დაარსდა 1991 წელს, დარეგისტრირდა როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება 1996 წლის 23 აგვისტოს თბილისში, საქართველოში და ოპერირებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს დაპროექტება, სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოები საქართველოს მასშტაბით, რომელშიც შედის ჰიდროტექნიკური ნაგებობების, გვირაბების, გზების და სხვა მშენებლობები. ასევე ჰიდროელექტროსადგურების მონტაჟი და ოპერირება.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის წილის მფლობელები არიან: იოსებ მჭედლიშვილი (96%) და კახაბერ შვეკრდნაძე (4%),

კომპანიის დირექტორია იოსებ მჭედლიშვილი. კომპანიის იურიდიული მისამართია: ჩაჩავას ქუჩა #8, თბილისი, საქართველო.

კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს (შემდგომში ჯგუფი) დედა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად ქვემოთ მოცემულ შვილობილ კომპანიებს 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

კომპანიის დასახელება	2023	2022	ძირითადი საქმიანობა
შპს ფერი ვაინ	100%	100%	აგრო ბიზნესი
შპს ხადორი 2 ჰესი	100%	-	ელექტროენერგიის გამომუშავება და მიწოდება
შპს ხუმფრერი ჰესი	100%	100%	არ დაუწყია საქმიანობა
შპს მემული ჰესი	85%	85%	არ დაუწყია საქმიანობა
შპს ჭალა ჰესი	85%	85%	არ დაუწყია საქმიანობა
შპს ხუმრერი ჰესი	100%	100%	არ დაუწყია საქმიანობა
სს ვინდ ფაური (ყოფილი სს ონი კასკადი)	100%	100%	ქარის ელექტროსადგურები
სს ენერგიონი	90%	90%	არ დაუწყია საქმიანობა
შპს სინთე	100%	100%	არ დაუწყია საქმიანობა
შპს სტეპ ენერჯი	100%	100%	არ დაუწყია საქმიანობა
შპს ველის ქარი	100%	100%	არ დაუწყია საქმიანობა
შპს რენეს ქარი	100%	100%	არ დაუწყია საქმიანობა
შპს ბებნისის ქარი	100%	100%	არ დაუწყია საქმიანობა
შპს ქედის ქარი	100%	100%	არ დაუწყია საქმიანობა
შპს ჯეოკრაფტი	-	100%	არ დაუწყია საქმიანობა
შპს ზესტაფონის ქარის ელექტროსადგური	-	100%	არ დაუწყია საქმიანობა
შპს სინთე 2	100%	100%	არ დაუწყია საქმიანობა
შპს ქარის პარკი ფარავანი	100%	100%	არ დაუწყია საქმიანობა
შპს რუისის ქარის ელექტროსადგური	100%	100%	არ დაუწყია საქმიანობა

დეტალური ინფორმაცი სს ვინდ ფაურის შესახებ მოცემულია მე-16 შენიშვნაში

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის/ჯგუფის მენეჯმენტისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია 28-ე შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ასევე წარმოადგენს კომპანიის/ჯგუფის ფუნქციურ ვალუტას. თანხები დამრგვალებულია ათასებში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. კომპანიის/ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ ჯგუფი/კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ საქმიანობა საქართველოში და სჯერათ, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ჯგუფისთვის/კომპანიისთვის. შესაბამისად, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში და ჯგუფი/კომპანია აპირებს გააგრძელოს საქმიანობა საპროგნოზო მომავალში.

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

შემდეგი ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შევიდა ძალაში 2023 წლის 1 იანვრიდან:

- ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ - (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- გადასვლის ოფციონი მზღვევებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 17-ს – ცვლილებები ფასს 17-ში (გამოცემულია 2021 წლის 9 დეკემბერს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში განხორციელებული ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განსაზღვრა (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ).
- გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან- შესწორებები ბასს 12-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს, ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ბასს 12 „მოგების გადასახადები“- შესწორებები: საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა – მეორე კომპონენტის სამოდელო წესები (გამოცემულია 2023 წლის 23 მაისი).
- შესწორებები ფასს 16-ში: იჯარა: იჯარის ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ცვლილებების გამოყენებას მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია კომპანიის ინდივიდუალური ფინანსურ ანგარიშგებაზე.

საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2024 წლის 1 იანვარს ან შემდგომ პერიოდებში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

- შესწორებები ფასს 16-ში: იჯარა: იჯარის ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ბასს 1-ის შესწორებები (თავდაპირველად გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და შემდგომში შესწორებულია 2020 წლის 15 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.).
- ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ შესწორებები: მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებები (გამოცემულია 2023 წლის 25 მაისს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);
- შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა (გამოცემულია 2023 წლის 15 აგვისტოს და ძალაშია 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს, ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა, ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაში შესვლის თარიღი არ არის ცნობილი)

თუ ეს სხვაგვარად არ არის აღწერილი, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებენ კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია და ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც ითვალისწინებს კომპანიის და ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ჯგუფი/კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას (ან მოცულობის მიხედვით გვირაბის საბურღი მანქანებისთვის). სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში. სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

ფინანსური აქტივების გაუფასურება. ჯგუფმა/კომპანიამ დანერგა ფასს 9-ის გამარტივებული მიდგომა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, რომლისთვისაც გამოიყენა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები. კოლექტიური მეთოდით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, ჯგუფმა/კომპანიამ დააჯგუფა ერთი და იგივე საკრედიტო რისკის და ხანდაზმულობის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების განაკვეთები განსაზღვრულია ისტორიული განაკვეთებით 3 წლის განმავლობაში.

დაბეგვრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ჯგუფი/კომპანია ახორციელებს ბევრ ოპერაციას და გაანგარიშებს, რომელთათვისაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არ არის. შედეგად ჯგუფი/კომპანია საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე, იმის შესახებ, ექნება თუ არა ადგილი დამატებით გადასახადების და პროცენტის დარიცხვას. სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზის და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, ჯგუფი/კომპანია თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია ყველა არააუდიტირებული წლისთვის. ეს მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებსა და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში ჯგუფი/კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- საპროცენტო განაკვეთის რისკი
- სავალუტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა ბიზნესების მსგავსად, ჯგუფი/კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს ჯგუფის/კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ჯგუფს/კომპანიას არ მოუხდენია არსებითი ცვლილებები წინა პერიოდებთან შედარებით ფინანსური ინსტრუმენტების რისკების, მისი მიზნების, პოლიტიკისა და ამ რისკების მართვის პროცესების ან მათი შეფასების მეთოდებში, თუ ასხვა რამ არ არის მითითებული.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები, რომლებსაც იყენებს ჯგუფი და საიდანაც წარმოიქმნება ფინანსური რისკები, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
- ფული და ფულის ეკვივალენტები
- გაცემული სესხები
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები
- საიჯარო ვალდებულებები
- მიღებული სესხები

ყველა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით.

ფული და ფულის ეკვივალენტების, მოკლევადიანი სავაჭრო და სხვა მოთხოვნების, მოკლევადიანი სავაჭრო და სხვა ვალდებულებების და მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, მათი მოკლევადიანი ბუნების გამო, შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას. მიღებული და გაცემული სესხების, გრძელვადიანი სავაჭრო და სხვა მოთხოვნების, გრძელვადიანი სავაჭრო და სხვა ვალდებულებების და გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, მათი მოკლევადიანი ბუნების გამო, შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ჯგუფის/ კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის/კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

მენეჯმენტი ყოველთვიური რეპორტების მიმოხილვის საფუძველზე ადგენს დანერგილი პროცესების ეფექტურობასა და იმ მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურობას შესაბამისობას რომელსაც დანერგილი პროცესები არეგულირებს.

მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს ჯგუფის/კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდგომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არ დაფარვის შემთხვევაში. ჯგუფის/კომპანიის საკრედიტო რისკი ძირითადად წარმოეშება, როდესაც ხდება კრედიტით გაყიდვები. ჯგუფის/კომპანიის საკრედიტო პოლიტიკით განსაზღვრულია ის აუცილებელი პროცედურები რაც უნდა ჩატარდეს საკრედიტო რისკის გასაწესებლად, კონტრაქტის გაფორმებამდე.

მენეჯმენტმა შეიმუშავა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის თანახმადაც ხდება ყოველი ახალი კლიენტის კრედიტუნარიანობის ანალიზი, სანამ მოხდება კლიენტისთვის ჯგუფის სტანდარტული გადახდის და მიწოდების ვადების და პირობების შეთავაზება.

მენეჯმენტი საკრედიტო რისკის მოცულობას ადგენს დებიტორული დავალიანების ყოველთვიური ვადიანობის ანალიზით.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის/კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად.

კომპანია ანაწილებს გარიგების ფასს თითოეული შესასრულებელი ვალდებულების მიხედვით, ფიქსირებული ფასების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ყველა მომსახურებასთან დაკავშირებულ საზღაურს.

ხელშეკრულების პირობების შესრულების დანახარჯები

დანახარჯები, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული ხელშეკრულებასთან მოიცავს გაყიდვებისა და იურიდიული დეპარტამენტების თანამშრომლების ფიქსირებულ ხელფასებს.

აღნიშნული დანახარჯები არ არის აღიარებული როგორც აქტივი და აღიარებულია როგორც ხარჯი, რომელიც წარმოადგენს ისეთ ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელსაც საწარმო მაინც გასწევდა, იმის მიუხედავად, გაფორმდებოდა თუ არა ხელშეკრულება.

ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული დანახარჯები არ აღიარდება ცალკე აქტივად, რადგან ასეთი დანახარჯები არის ბასს 16 ძირითადი საშუალებები-ს მოქმედების სფეროში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარებულია პროპორციულად შემოსავალთან ერთად.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

28. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო დასაქმებულისგან.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ჯგუფი/კომპანია ფინანსურ აქტივებს ფლობს მიზნიდან გამომდინარე აკლასიფიცირებს ერთ-ერთი კატეგორიის მიხედვით, რომლებიც ქვემოთ არის განხილული. ჯგუფი არ ფლობს ფინანსურ აქტივს რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალის ასახვით ან რეალური ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ასახვით.

ამორტიზებული ღირებულება

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აქტივს ფლობს იმ ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად. ფინანსური აქტივები თავდაპირველად აღიარდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივების შეძენასთან და შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აქტივს ფლობს იმ ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად. ფინანსური აქტივები თავდაპირველად აღიარდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივების შეძენასთან და შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი.

გაუფასურების რეზერვები დაკავშირებულ მხარეებთან არსებულ მოთხოვნებზე და გაცემულ სესხებზე აღიარდება მომავალზე ორიენტირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების მოდელის შესაბამისად. მეთოდოლოგია, რომელსაც ჯგუფი იყენებს გაუფასურების რეზერვის განსაზღვრისთვის, დაფუძნებულია ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი. იმ ფინანსურ აქტივებზე, რომელთა საწყისი აღიარების შემდეგ არ გაზრდილა საკრედიტო რისკი, ჯგუფი ანგარიშობს 12 თვეში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებს და საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ბრუტო მეთოდით. იმ ფინანსურ აქტივებზე, რომელთა საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა საკრედიტო რისკი, ჯგუფი ანგარიშობს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებს და საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ბრუტო მეთოდით. იმ აქტივებზე, რომელსაც ჯგუფი განსაზღვრავს, რომ უკვე გაუფასურებულია, ანგარიშობს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებს და საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ნეტო მეთოდით.

გაუფასურების ზარალები სავაჭრო მოთხოვნებისთვის და გაცემული სესხებისთვის (არადაკავშირებულ მხარეზე) აღიარდება გამარტივებული მიდგომის შესაბამისად, ფასს 9-ის ფარგლებში ვადაგადაცილებების მატრიცის გამოყენებით იმის დასადგენად, თუ რა არის მიმოქცევის მთელი ვადის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები.

გაუფასურების ზარალები სავაჭრო მოთხოვნებისთვის და გაცემული სესხებისთვის (არადაკავშირებულ მხარეზე) აღიარდება გამარტივებული მიდგომის შესაბამისად, ფასს 9-ის ფარგლებში ვადაგადაცილებების მატრიცის გამოყენებით იმის დასადგენად, თუ რა არის მიმოქცევის მთელი ვადის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები.

დროთა განმავლობაში ჯგუფი აწარმოებს მოლაპარაკებებს მომხმარებლებთან მოთხოვნების პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, ვისთანაც ჯგუფს ადრე კარგი სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა. ასეთი მოლაპარაკებები დაკავშირებულია გადახდის პირობების გაუმჯობესებასთან და არ ცვლის მისაღები ანაზღაურების ოდენობას. ახალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადები დისკონტირდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად და საბალანსო ღირებულების ნებისმიერი ცვლილება აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (საოპერაციო მოგება).

28. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მიმდინარე და მომავალზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური ფაქტორებით, რომლებიც გავლენას ახდენენ ჯგუფი მომხმარებლებზე.

ჯგუფის/კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, გაცემულ სესხებსა და ფული და ფულის ეკვივალენტებს, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტს 3 თვემდე დაფარვის ვადით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი/კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) ჯგუფი/კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც ორი კატეგორია, იმის მიხედვით რა მიზნით ფლობს ჯგუფი ამა თუ იმ ვალდებულებას: რეალური ღირებულება მოგება ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსური ვალდებულებები. ჯგუფი/კომპანია არ ფლობს სხვა ფინანსური ვალდებულებებს რეალური ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება მიღებული სესხები, საიჯარო ვალდებულებები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი/კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

სამართლიანი ღირებულებით შეფასება

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება სამართლიანი ღირებულებით შეფასება და განმარტება. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით შეფასებისათვის იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. ხარჯები, რომლებიც გამოიყენება სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის, კლასიფიცირდება სხვადასხვა დონეზე, იმის მიხედვით თუ რამდენად შესაძლებელია ხარჯები არის გამოყენებული შეფასების მეთოდის განსაზღვრისთვის (სამართლიანი ღირებულების იერარქია):

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული)
- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირ ან არაპირდაპირი ემპირიული მონაცემების მიხედვით, როგორიცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს

- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე.

28. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და სამართლიანი ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს.

მიმდინარე გადასახადელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯებს, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები მოგების გადასახადის გარდა

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ყველა ძირითადი საშუალებება და არამატერიალური აქტივი აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალები, არსებობის შემთხვევაში. ცვეთა/ამორტიზაცია ერიცხება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. მიწა არ იცვითება. ჯგუფი იყენებს ცვეთის/ამორტიზაციის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ყველა ჯგუფისათვის, გარდა გვირაბის საბურღი მანქანებისა.

სასარგებლო მომსახურების ვადები წლები

ტექნიკური აღჭურვილობა და დანადგარები	2-23
ავტომობილები	3-15
შენობები და ნაგებობები	4-25
ვენახი	25
სხვა	5-7

28. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი მიმოხილვა ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს, ნებისმიერი ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულად.

ის ძირითადი საშუალებები, რომლებსაც ექსპლუატაციის სხვადასხვა ვადა აქვთ, აღირიცხება როგორც ცალკე ძირითადი საშუალება (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებები გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა გადამოწმდეს, ხომ არ არის აღიარებული ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტად.

ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გამოყენებად ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის. როდესაც მიმდინარე ღირებულება გადააჭარბებს განსაზღვრულ ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების აღიარება ხდება შესაბამის პერიოდში და წარდება საოპერაციო ხარჯებში.

მარაგები

ჯგუფის მარაგებს წარმოადგენს ნედლეული და მასალები, ღვინო და სხვა. მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომი წარდგენა თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი ბიოლოგიური აქტივები ფასდება ნაყოფის მიღების მომენტისათვის არსებული გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით. მარაგების თვითღირებულების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ჯგუფი მიმოხილავს გრძელვადიანი აქტივების (ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება) საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურებაზე იტესტება აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება) საბალანსო ღირებულება. გაუფასურების ზარალი მოგება ზარალში აღიარდება იმ მოცულობით, რა მოცულობითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

28. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ჯგუფი სამუშაო ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად.

კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	დოლარი	ევრო
2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.69	2.98
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.70	2.88
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.10	3.50

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს:

- მხარე პირდაპირ ან ერთი ან რამდენიმე შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ აკონტროლებს კომპანიას, კონტროლდება კომპანიის მიერ ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ კომპანიებს) კომპანიაში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია რომ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მასზე.
- მხარე არის კომპანიის ან მისი მფლობელის უმაღლესი მმართველი პირი;
- მხარე არის (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე პირს ან, რომელშიც მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პირები.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გათვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

28. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ანარიცხები

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარავად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების საწარმოოდან გასვლა. ვალდებულების წამოქმნილი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც ორგანიზაციამ უპირობოდ უნდა დაფაროს ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება,

რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან: ა) ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი); ბ) კანონმდებლობა; ან გ) სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქმნება ორგანიზაციის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, ორგანიზაცია სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, ორგანიზაცია აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს.



შპს ფერი და შვილობილი კომპანიები
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური
მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

ს/ნ 211352187

საანგარიშო პერიოდი - 2023 წ

სარჩევი

საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა.....	44
განვითარების გეგმები	45
ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ	45
კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები	45
ინფორმაცია საკუთრი აქციების შეძენის შესახებ.....	45
ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	46
დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ.....	46
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.....	46

1. საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

შპს „ფერის“ საქმიანობის საგანია ჰესების, გვირაბების, წყალმომარაგების და წყალგაყვანილობის სისტემების, გადამცემი ანძების, საბაგიროების და სხვა არასაყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობა. საქმიანობის მცირე ნაწილს წარმოადგენს საკუთრებაში არსებული ჰესის მემკვიდრეობით ელექტროენერგიის წარმოება და რეალიზაცია. კომპანიის ძირითად დამკვეთებს წარმოადგენენ, სახელმწიფო და მსხვილი კერძო ინვესტორები.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წილებს ფლობს შემდეგ საწარმოებში:

შპს „ენერგია“ – 30%. ფლობს 2 ჰესს და ახორციელებს ელექტროენერგიის წარმოება-რეალიზაციას.

სს „სუფსა ენერჯი“- 50%. ამ კომპანიის მიზანია მდინარე სუფსაზე ჰესის მშენებლობა, შემდგომში ელექტროენერგიის რეალიზაციის მიზნით.

სს „ვინდ ფაუერ“ (ყოფილი სს „ონი კასკადი“) – 100%. ამ კომპანიის მიზანია ქარის ელექტროსადგურების მშენებლობა.

შპს „ფერი ვაინ“- 100%. ამ კომპანიის მიზანია ღვინის წარმოება/რეალიზაცია. შპს ფერიდან კომპანიის კაპიტალში შეტანილია სავენახე მეურნეობა, რომლებიც მდებარეობს ლავოდების რაიონში.

შპს „ხადორი 2 ჰესი“- 100%. ფლობს ჰესს და ახორციელებს ელექტროენერგიის რეალიზაციას.

შპს ჭალა ჰესი - 85%. კომპანიის მიზანია სვანეთში ჰიდროელექტროსადგურის აშენება, ელ. ენერგიის გენერაცია-რეალიზაცია. 2023 წელს საქმიანობა არ დაუწყო.

შპს მამული ჰესი - 85%. კომპანიის მიზანია სვანეთში ჰიდროელექტროსადგურის აშენება, ელ. ენერგიის გენერაცია-რეალიზაცია. 2023 წელს საქმიანობა არ დაუწყო.

შპს ქართული საინვესტიციო ჯგუფ ენერგია - 16,67%. კომპანიის მიზანია ჩხოროწყის რ-ნში, ხობიჰესის 2-ის მშენებლობა, ელ. ენერგიის გენერაცია-რეალიზაცია.

სს „ენერგიონი“ – 90%. კომპანიის მიზანია ელექტროენერგიის წარმოება-რეალიზაციის სფეროში საქმიანობა.

კომპანიამ 2021 წელს შეიძინა და იმავე წელს სს ვინდ ფაუერში გადაიტანა, ისე რომ საბოლოო ბენეფიციარი დარჩა შპს ფერი, შემდეგი შვილობილები:

შპს ჯეოკრაფტი - 100%, რომელიც თავის მხრივ ფლობს შპს ზესტაფონის ქარის ელექტროსადგურების 100%-ს, მიზანია ქარის ელექტროსადგურის აშენება, ელ. ენერგიის რეალიზაციის მიზნით. ეს კომპანიები, 2023 წლის მაისიდან აღარ არიან ჯგუფის შემადგენლობაში.

შპს რუისის ქარის ელექტროსადგურები - 100%. მიზანია ქარის ელექტროსადგურის აშენება, ელ. ენერგიის რეალიზაციის მიზნით.

შპს სინთე - 100%. მიზანია ქარის ელექტროსადგურის აშენება, ელ. ენერგიის რეალიზაციის მიზნით.

შპს სინთე 2 - 100%. მიზანია ქარის ელექტროსადგურის აშენება, ელ. ენერგიის რეალიზაციის მიზნით.

შპს ქარის პარკი ფარავანი - 100%. მიზანია ქარის ელექტროსადგურის აშენება, ელ. ენერგიის რეალიზაციის მიზნით.

შპს სტეპ ენერჯი - 100%. რომელიც თავის მხრივ ფლობს შპს ველის ქარის, შპს ქედის ქარის, შპს რენეს ქარის და შპს ბებნისის ქარის 100%-ს, მიზანია ქარის ელექტროსადგურის აშენება, ელ. ენერგიის რეალიზაციის მიზნით.

საქართველოს მიერ ელექტროენერგიის მოხმარება წლიდან წლამდე იზრდება. შესაბამისად, დგას დეფიციტის შევსების საკითხი. იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანა არ არის მდიდარი სხვა ენერგომატარებლებით, ჰესების და ალტერნატიული ენერგიის სადგურების მშენებლობა რჩება პრობლემის გადაჭრის ძირითად ვარიანტად.

ჯგუფს/კომპანიას დიდი ხანია გააზრებული აქვს საქართველოს ენერგო სექტორის პოტენციალი და წინა წლებშიც და მომავალშიც აპირებს აღნიშნულ სფეროში აქტივობებს.

ჯგუფმა/კომპანიამ უკვე ააშენა რამდენიმე საშუალო, და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ერთერთი უდიდესი ჰესი - „დარიალიჰესი“. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით რთული იყო, არამხოლოდ მისი სიდიდის გამო, არამედ მშენებლობა იყო ტექნიკურად ძნელი და მკაცრ ბუნებრივ პირობებში შესასრულებელი.

ჯგუფის/კომპანიის ცენტრალური ოფისი მდებარეობს ქალაქ თბილისში, ჯგუფი/კომპანია აგრეთვე ფლობს შენობა-ნაგებობებს და მიწის ნაკვეთებს ზაჰესში და სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე. ცენტრალურ ოფისში მუშაობს უმაღლესი მენეჯმენტი, საფინანსო, ბუღალტერიის, საინჟინრო, ენერგეტიკოსების, პროექტების მართვის, HR-ის და შესყიდვების განყოფილებები. აგრეთვე, თბილისში მდებარეობს ცენტრალური საწყობი, საამქრო და მექანიზაციის განყოფილება. ზაჰესში მდებარეობს და მუშაობს საწყობი და მეორე საამქრო. ასევე ჯგუფი/კომპანია წარმოადგენილია იმ სამშენებლო ტერიტორიებზე და ობიექტებზე, სადაც ახორციელებს პროექტებს.

1. საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა (გაგრძელება)

2023 წლის განმავლობაში ჯგუფი/კომპანია ახორციელებდა რამდენიმე დიდ პროექტს. ესენია: მტკვარიჰესის სამუშაოები და ხობიჰესი 2-ის მშენებლობა. 2023 წელს ჯგუფს/კომპანიას ჰქონდა შემდეგი მიმდინარე პროექტები: მტკვარიჰესის სამუშაოები და ხობიჰესი 2-ის მშენებლობა.

ელექტრო სადგურების მშენებლობის დროს, ყველაზე დიდ სირთულეს წარმოადგენს სამუშაოების წარმართვა ისე, რომ გარემოს რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მიაღწეს. ამ რისკების შესამცირებლად, ჯგუფი/კომპანია პარტნიორობს ენერგეტიკულ სფეროში მოღვაწე ევროპულ კომპანიებთან.

მშენებლობის დაგეგმვის, დაპროექტების და განხორციელების ეტაპზე ჯგუფი/კომპანია მაქსიმალურად ცდილობს შეამციროს გარემოზე ზემოქმედება. ამისათვის, ჯგუფი/კომპანია თანამშრომლობს უცხოურ კომპანიებთან, ხოლო შტატში აყვანილია გარემოს დაცვის სპეციალისტიც. ჯგუფი/კომპანია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს შრომის უსაფრთხოებას. ხარისხის, გარემოს დაცვის და შრომის უსაფრთხოების ეფექტურობისთვის ჯგუფს/კომპანიას მინიჭებული აქვს ISO 9001:2015, ISO 14001 და ISO OHSAS 18001 სერტიფიკატები.

2. განვითარების გეგმები

ჯგუფი/კომპანია ცდილობს საწარმოო პროცესი უფრო ეფექტური გახადოს. მენეჯმენტი მუდმივად ცდილობს და მომავალშიც აპირებს დანერგოს ახალ-ახალი ტექნოლოგიები. ახალი და ინოვაციური მიდგომები ეხება არამხოლოდ მანქანა-დანადგარებს, არამედ საწარმოო პროცესს და მის სრულყოფას.

2018 წელს ჯგუფმა/კომპანიამ დაიწყო ოსიაური-ჩუმათელეთის გვირაბების პროექტი, სადაც დაგეგმილი იყო 5 გვირაბის მშენებლობა. ამ პროექტის ეფექტურად განხორციელების მიზნით 2018 წელს ჯგუფმა/კომპანიამ შეიძინა ახალი ტიპის, გერმანული ფირმა MHWirth GmbH-ის წარმოების გვირაბისმთხრელი ორი მანქანა. აღნიშნული მანქანები ამ ტიპის ქანების გასათხრელად იდეალური საშუალებაა. იგეგმებოდა ოპერატორების და სხვა მომსახურე პერსონალის დამატება-ტრენინგი. სამწუხაროდ პროექტის შეჩერების გამო, აღნიშნული ვერ განხორციელდა 2018 წელს. თუმცა, 2020 წელს, ამ მანქანების დახმარებით გაითხარა მტკვარიჰესის პროექტის ფარგლებში დამატებითი გვირაბი.

ჯგუფი/კომპანია განსაკუთრებით ყურადღებას უთმობს შრომის უსაფრთხოებას და გამოყენებული სამშენებლო მასალების წარმოშობას და ხარისხს.

3. ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ

ჯგუფს/კომპანიას, საქმიანობის სფეროდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, არ გააჩნია ფილიალები. შესაბამისად, ფილიალების საქმიანობის შესახებ კვლევა არ ჩატარებულა.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

ჯგუფს/კომპანიას, საქმიანობის სფეროდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, კომპანია არ ატარებს კვლევებისა და განვითარების სფეროში სამუშაოებს. შესაბამისად, კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების შესახებ კვლევა არ ჩატარებულა.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

ჯგუფი/კომპანია არ არის სააქციო საზოგადოება. მას არ აქვს გამოშვებული საკუთარი აქციები. შესაბამისად, აღნიშნული მიმართულებით ჯგუფს/კომპანიას კვლევა არ ჩატარებია.

6. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

იმაზე, რომ საწარმოს აქვს თავისი საქმიანობის გაფართოების გრძელვადიანი და დაგეგმილი სტრატეგია, მიუთითებს ინდივიდუალურ ანგარიშგებაში მთლიან აქტივებში გრძელვადიანი აქტივების წილი - 80% (ინდივიდუალურ ანგარიშგებაში - 2022 წლის 31 დეკემბრისთვის იყო 64%, ხოლო 2022 წლის 01 იანვრისთვის 63%). კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში მთლიან აქტივებში გრძელვადიანი აქტივების წილი - 76% (კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში - 2022 წლის 31 დეკემბრისთვის იყო 63%, ხოლო 2022 წლის 01 იანვრისთვის 62%). ინდივიდუალურ ანგარიშგებაში გრძელვადიან აქტივების დაახლოებით 13% არის ძირითადი საშუალებები - 23,856 ათასი ლარი

6. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

(2022 წლის 31 დეკემბრისთვის იყო 29,636 ათასი ლარი, ხოლო 2022 წლის 01 იანვრისთვის 31,838 ათასი ლარი). კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში გრძელვადიან აქტივების დაახლოებით 25% არის ძირითადი საშუალებები - 41,508 ათასი ლარი. (2022 წლის 31 დეკემბრისთვის იყო 40,935 ათასი ლარი, ხოლო 2022 წლის 01 იანვრისთვის 39,780 ათასი ლარი). ინდივიდუალურ ანგარიშგებაში ინვესტიციები შეადგენს 137,233 ათას (2022 წლის 31 დეკემბრისთვის იყო 110,878 ათასი ლარი, ხოლო 2022 წლის 01 იანვრისთვის 89,614 ათასი ლარი). კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ინვესტიციები შეადგენს 52,438 ათას ლარს (2022 წლის 31 დეკემბრისთვის - 43,664 ათას ლარი, ხოლო 2022 წლის 01 იანვრისთვის 28,458 ათასი ლარს). გრძელვადიანი აქტივების ასეთი დიდი მოცულობა კომპანიას საშუალებას აძლევს მარტივად მოიზიდოს სახსრები მიმდინარე პროექტების დასაფინანსებლად.

ამ მოცულობის გრძელვადიანი აქტივების ფლობის მიუხედავად, ინდივიდუალურ ანგარიშგებაში საწარმოს მოკლევადიანი აქტივების შეფარდება მოკლევადიან ვალდებულებებთან წარმოადგენს - 0,94 (2022 წელს - 1,11). კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში საწარმოს მოკლევადიანი აქტივების შეფარდება მოკლევადიან ვალდებულებებთან 1-ზე მეტია - 1,06 (2022 წელს - 1,13).

კომპანია ბოლო წლებია ყოველ წელს გადის მოგებაზე. 2023 წელს ინდივიდუალურმა საოპერაციო მოგებამ შეადგინა 19,586 ათასი ლარი, კონსოლიდირებულმა - 17,527 ათასი ლარი (2022 წელს - ინდივიდუალური საოპერაციო მოგება - 27,024 ათასი ლარი, ხოლო კონსოლიდირებული 23,842 ათასი ლარი).

ასეთი მონაცემები საშუალებას იძლევა განხორციელდეს არამხოლოდ საკუთარი პროექტების დაფინანსება, არამედ ინვესტიციების განხორციელებაც. გარდა ამისა, მდგრადი და დადებითი მაჩვენებლები კომპანიის მიმართ ნდობას ამყარებს არამხოლოდ სავაჭრო პარტნიორების, არამედ საფინანსო ინსტიტუტების თვალშიც.

მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები, აგრეთვე ასეთი ტიპის გამოცდილების და სიძლიერის მქონე ქართულ კომპანიებზე ბაზარზე არსებული მოთხოვნა, იძლევა საშუალებას ვივარაუდოთ, რომ ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები მომავალ წელსაც იქნება მდგრადი და პოზიტიური ცვლილებით.

7. დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

ჯგუფი/კომპანია მუდმივად ცდილობს დროულად მოიზიდოს პროექტის განსახორციელებლად აუცილებელი რესურსები, რათა თავიდან აიცილოს შემდგომში შესაძლო რისკები. ეს შეეხება, ვალუტის კურსის შესაძლო ცვლილებას, პროდუქციის გაძვირებას, შეფერხებას მოწოდების დროს და სხვა მსგავს რისკებს. გარდა ამისა, ჯგუფს/საწარმოს გააჩნია საკუთარი სამუშაო, საწარმოო ბაზა, ქვისამსხვრევეები და ბეტონის ქარხნები, სადაც ხდება მშენებლობისთვის საჭირო კონკრეტული დეტალების და პროდუქციის საკუთარი ძალებით დამზადება. ეს მნიშვნელოვნად ამცირებს დანახარჯებს.

2023 წელს ჯგუფში/კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა შეადგენდა 587 ადამიანს (2022 წელს - 462 ადამიანი), მათზე გაცემულმა ანაზღაურებამ შეადგინა 11,716 ათასი ლარი (2022 წელს - 13,615 ათასი ლარი). ჯგუფი/კომპანია მაქსიმალურად უფროსხილდება და ცდილობს, არამხოლოდ შეინარჩუნოს, არამედ თვითონვე გამოზარდოს საკუთარი სპეციალისტები. საწარმოში ხშირად ხდება და მომავალშიც იგეგმება თანამშრომელთა დაწინაურება-წახალისება.

8. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

2020 წლის თებერვალი-მარტის თვიდან მსოფლიოში დაიწყო ახალი კორონავირუსი COVID-19-ის გავრცელება. აღნიშნულმა გლობალურმა პანდემიამ გამოიწვია ეკონომიკური აქტივობების შემცირება და ეკონომიკური კრიზისი. ჯგუფმა/კომპანიამ სწრაფად აულო ალლო ახალ რეალობას. პირველ რიგში თანამშრომელთა უსაფრთხოების კუთხით გატარდა საქართველოს მთავრობის მიერ რეკომენდირებული პროცედურები. აღნიშნული მოიცავდა, სათაო ოფისის დისტანციურად მუშაობას, თანამშრომელთა გარკვეული კატეგორიის ობიექტებიდან მოხსნას, დეზობარიერების დამონტაჟებას, შესაბამისი ხსნარებით საცხოვრებელი და სამუშაო ტერიტორიების დასუფთავებას, სამუშაოს დაწყების და დამთავრების დროს თანამშრომელთა კონტროლს თერმოსკრინინგით. ჩვენი მიმდინარე პროექტები შეჩერებული იყო მხოლოდ 3 კვირის განმავლობაში.

აღნიშნულმა ჯგუფს/კომპანიას საშუალება მისცა სრულად არ შეეჩერებინა სამუშაოები, შესაბამისად მიეღო შემოსავლები და ამ პანდემიის გამო არ მომხდარა არც თანამშრომლების განთავისუფლება და არც მათთვის ხელფასების შემცირება. მენეჯმენტის მოქნილობის, სწორი გადაწყვეტილებებისა და მუშაობის შედეგად ჯგუფზე/კომპანიაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია COVID 19-ის გამო დაწესებულ შეზღუდვებს.

8. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

ჯგუფის/კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე ძირითადი ფინანსური რისკები არის: საოპერაციო, საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთის და ვალუტის კურსის რისკები.

საოპერაციო რისკი არის ჯგუფისთვის/კომპანიისთვის ზარალის რისკი, თუ ჯგუფი/კომპანია ვერ მოახერხებს სამუშაოების დამკვეთებთან წარმატებულ მოლაპარაკებებს სამშენებლო კონტრაქტების გაფორმების თვალსაზრისით. მნიშვნელოვანი რისკია, ნედლეულის და მასალების ფასების ზრდა. ვინაიდან საქართველოს შიდა ბაზარი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმპორტზე, ამიტომ, ამ რისკების მინიმიზების მიზნით ჯგუფი/კომპანია ცდილობს ხელშეკრულებები გააფორმოს უცხოურ ვალუტაში, გადახდის დღეს არსებული ეროვნული კურსის მიხედვით ანაზღაურების პირობით. სხვა რისკებთან შედარებით ნაკლები, თუმცა საყურადღებო რისკია ჯგუფისთვის/კომპანიისთვის მნიშვნელოვანი თანამშრომლების სამსახურიდან წასვლა. თანამშრომელთა შენარჩუნებისთვის ტარდება შემდეგი ღონისძიებები: სამსახურეობრივი დაწინაურება, ახალი პროფესიის ათვისებაში ან პროფილის შეცვლაში დახმარება, პრემიების გაცემა, სახელფასო სარგოს მომატება. ღონისძიებები ტარდება ან კომბინირებულად, ან ცალ-ცალკე.

საკრედიტო რისკი არის ჯგუფისთვის/კომპანიისთვის ფინანსური ზარალის რისკი, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის პარტნიორი ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. ჯგუფის/კომპანიის მიდგომის მიხედვით, ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო ექსპოზიციას. ასეთი საკრედიტო რეიტინგები გათვალისწინებულია ადგილობრივი ბიზნესის პრაქტიკის მიხედვით.

წლების მიხედვით ის გამოიყურება შემდეგნაირად:

	2023	2022
გაცემული სესხი	19,222	18,300
მოთხოვნები	16,307	11,600
ფული და ფულადი ექვივალენტი	2,980	26,082
	76,768	55,982

მენეჯმენტი განსაზღვრავს საკრედიტო რისკის კონცენტრაციას, დებიტორული დავალებების ანალიზების ყოველთვიური მიმოხილვით.

საბაზრო რისკი არის რისკი, რომ შემცირდება ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება, საბაზრო ფაქტორების ცვლილების გამო. ეს არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები მერყეობდეს საპროცენტო განაკვეთების ცვლილების და სავალუტო კურსების ცვლილების გამო. ეს რისკები ქვემოთ განხილულია ცალ-ცალკე.

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ცვალებადი იქნება ვალუტის კურსის ცვლილების გამო. ჯგუფი/კომპანია ექვემდებარება უცხოური ვალუტის კურსების რყევების გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი ნაკადების მიმართ. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია ჯგუფის/კომპანიის მგრძნობელობა აშშ დოლარის და ევროს კურსის ლარის მიმართ მიმართ 20%-მდე გაზრდით და შემცირებით.

20% არის მგრძნობელობის მაჩვენებელი, რომელიც გამოიყენება მენეჯმენტისთვის უცხოური ვალუტის რისკის შიდა ანგარიშგებისას და წარმოადგენს მენეჯმენტის შეფასებას უცხოური ვალუტის კურსის შესაძლო ცვლილების შესახებ. მგრძნობელობის ანალიზში შედის მხოლოდ სავალუტო ფულადი სახსრების უცხოური ვალუტის მუხლები და გადაითვლის მათ პერიოდის ბოლოსთვის, უცხოური ვალუტის კურსების 20% -იანი ცვლილებით. გავლენა წმინდა მოგებასა და კაპიტალზე 2022 წლის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია დაბლა ცხრილში:

კონსოლიდირებული	31 დეკემბერი 2023		31 დეკემბერი 2022	
	20%	-20%	20%	-20%
მოგება/(ზარალი)				
აშშ დოლარის ეფექტი	(1,175)	1,175	4,247	(4,247)
ევროს ეფექტი	(566)	566	(1,091)	1,091
ინვიდუალური	31 დეკემბერი 2023		31 დეკემბერი 2022	
	20%	-20%	20%	-20%
მოგება/(ზარალი)				
აშშ დოლარის ეფექტი	(880)	880	4,357	(4,357)
ევროს ეფექტი	(854)	854	(881)	881

8. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების შედეგად, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ჯგუფის/კომპანიის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებაზე. ეს რისკი შეიძლება წარმოიშვას აქტივების და ვალდებულებების შეუსაბამობის, აგრეთვე ასეთი აქტივების და ვალდებულებების ხელახალი გადაფასებისაგან.

ჯგუფის/კომპანიის პროცენტული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ფიქსირდება საპროცენტო განაკვეთებით, ამიტომ მენეჯმენტი თვლის, რომ საბაზრო საპროცენტო განაკვეთების გონივრულმა ზრდამ ან შემცირებამ არ გამოავლინა ჯგუფის/კომპანიის კაპიტალის მნიშვნელოვანი პოტენციური ეფექტი.

ლიკვიდობის რისკი ეხება საკმარისი თანხების ხელმისაწვდომობას სესხის დაფარვისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ ინსტრუმენტებთან, რადგან ისინი, ფაქტობრივად, გამოდიან. ლიკვიდობის რისკის მართვის მიზნით, ჯგუფი/კომპანია ახორციელებს მომავალში ფულადი სახსრების ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რაც აქტივების / ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილია.

ჯგუფის/კომპანიის შეხედულებით კაპიტალი არის საწესდებო კაპიტალი და დაგროვილი მოგება/ზარალი. მენეჯმენტი თავის როლს ხედავს, როგორც კორპორატიული ხელმძღვანელების როლს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან კაპიტალის შენარჩუნებასა და ზრდაზე, ასევე აქციონერებისთვის ადეკვატური ანაზღაურების წარმოქმნაზე.

კაპიტალის შენარჩუნებისას ჯგუფის/კომპანიის მიზნები არის:

- დაიცვას ჯგუფის/კომპანიის საქმიანობის განგრძობითობა, ისე, რომ მას შეეძლოს გააგრძელოს აქციონერებისთვის განაცემების გაცემის უზრუნველყოფა.
- უზრუნველყოს აქციონერთათვის რისკების დონის შესაბამისად ადეკვატური განაცემების გაცემა.

ჯგუფი/კომპანია ადგენს საჭირო კაპიტალის რაოდენობას რისკის პროპორციულად. ჯგუფი/კომპანია მართავს მის კაპიტალურ სტრუქტურას და ახდენს მასში ცვლილებების შეტანას ეკონომიკური პირობების ცვლილებისა და ძირითადი აქტივების რისკის მახასიათებლების გათვალისწინებით.

სტრატეგიული და კომერციული რისკები არ არის გამოკვლეული.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 29 ნოემბერს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

იოსებ მჭედლიშვილი

ფინანსური დირექტორი

კახაბერ შევარდნაძე

8. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების შედეგად, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ჯგუფის/კომპანიის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებაზე. ეს რისკი შეიძლება წარმოიშვას აქტივების და ვალდებულებების შეუსაბამობის, აგრეთვე ასეთი აქტივების და ვალდებულებების ხელახალი გადაფასებისაგან.

ჯგუფის/კომპანიის პროცენტული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ფიქსირდება საპროცენტო განაკვეთებით, ამიტომ მენეჯმენტი თვლის, რომ საბაზრო საპროცენტო განაკვეთების გონივრულმა ზრდამ ან შემცირებამ არ გამოავლინა ჯგუფის/კომპანიის კაპიტალის მნიშვნელოვანი პოტენციური ეფექტი.

ლიკვიდობის რისკი ეხება საკმარისი თანხების ხელმისაწვდომობას სესხის დაფარვისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ ინსტრუმენტებთან, რადგან ისინი, ფაქტობრივად, გამოდიან. ლიკვიდობის რისკის მართვის მიზნით, ჯგუფი/კომპანია ახორციელებს მომავალში ფულადი სახსრების ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რაც აქტივების / ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილია.

ჯგუფის/კომპანიის შეხედულებით კაპიტალი არის საწესდებო კაპიტალი და დაგროვილი მოგება/ზარალი. მენეჯმენტი თავის როლს ხედავს, როგორც კორპორატიული ხელმძღვანელების როლს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან კაპიტალის შენარჩუნებასა და ზრდაზე, ასევე აქციონერებისთვის ადეკვატური ანაზღაურების წარმოქმნაზე.

კაპიტალის შენარჩუნებისას ჯგუფის/კომპანიის მიზნები არის:

- დაიცვას ჯგუფის/კომპანიის საქმიანობის განგრძობითობა, ისე, რომ მას შეეძლოს გააგრძელოს აქციონერებისთვის განაცემების გაცემის უზრუნველყოფა.
- უზრუნველყოს აქციონერთათვის რისკების დონის შესაბამისად ადეკვატური განაცემების გაცემა.

ჯგუფი/კომპანია ადგენს საჭირო კაპიტალის რაოდენობას რისკის პროპორციულად. ჯგუფი/კომპანია მართავს მის კაპიტალურ სტრუქტურას და ახდენს მასში ცვლილებების შეტანას ეკონომიკური პირობების ცვლილებისა და ძირითადი აქტივების რისკის მახასიათებლების გათვალისწინებით.

სტრატეგიული და კომერციული რისკები არ არის გამოკვლეული.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშება (საქმიანობის მიმოხილვა) ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 29 ნოემბერს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი



იოსებ მჭედლიშვილი

ფინანსური დირექტორი



კახაბერ შევარდნაძე